

დღეს

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ოქტომბერი შაბათი 2011
№243 (13540) ფასი 80 თეთრი

დღეს-ხვალ გურია, ერთი შეხედვით, მორიგი, არადა, 99-პროცენტობიანი დარღვით საყურებელი



4

ზელანდიის დროით ნახევარფინალებია

დღეს

უელსი-საფრანგეთი

ხვალ

ავსტრალია-ზელანდია



13



მარკველი
გიგლიოთიაკა

6

3 უკანასკნელი ვარლიქი

ჩერნოგორიაში ინგლისის ნაკრების ლიდერის გაძევება,
მისი კარიერისთვის შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს.
უინ რუნისთვის ევროპა,
შეიძლება, დაწყებად მორჩეს



ვერდერი-დორტმუნდი 0:2, სტუმრებმა 10 კაცით მოიგეს

ჩეხეთის გამოიღვიძა და ლიდერს ქვალზე ჩაუდგა



ომი რობუი დარბი ბოტის გარეშე ჩაივლის

დიდი მატჩი ენფილდზე

დღეს ლივერპული-მანჩესტერია
ექვთრ ქუბარი
ქაბ ნოუზე ჩაბა

ევროუქმეების წინ

5-9

● **ევრო 2012 შესარჩევი ტურნირის სტატისტიკა**

აქამ ბოლოსთან უფრო ახლოს ვართ

შეშას ოფიციალური ვებგვერდი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ეგიდით ჩატარებულ ყველა ტურნირის ოპერატიულად და ამომწურავად აშუქებს და, ბუნებრივია, გამონაკლისი არც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპია, რომლის სტატისტიკურ მონაცემებშიც ქართველები, ცხადია, ლიდერთა შორის არ არიან, მაგრამ ჩვენი ნაკრების წევრთა მოკრძალებულ მაჩვენებლებს მაინც გაგაცნობთ.

საუკეთესო ბომბარდირები 2-2 გოლით **დავით სირაძე** და **ჯაბა კანკავა** გახდნენ. როგორც იცით, საქართველოს ნაკრებმა 10 მატჩში მხოლოდ 7 გოლი გაიტანა. თითო ბურთია **ალექსანდრე იაშვილის**, **ლევან კობიაშვილისა** და **დავით თარგამაძის** ანგარიშზე. ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ციკლის საუკეთესო ბომბარდირი კი 12 გოლით ჰოლანდიელი **კლაას იან პუნტელარი** გახდა. მეორეზე გერმანელი **მიროსლავ კლოზე** 9 ბურთით.

თემურ ქეცბაიას გუნდის წევრთაგან თითო საგოლე პასია დავით თარგამაძის, **უჩა ლობჯანიძის**, დავით სირაძისა და **ოთარ მარცვალაძის** აქტივობა ამ კომპონენტში საუკეთესო მაჩვენებელი კი გერმანელ **მესუთ იოზილსა** და შედეგ კი **კალსტრიომს** აქვთ - 7-7.

ქართველთაგან მეტოქის კარის ჩარჩოში ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ, იაშვილმა დაარტყა, რომელსაც კანკავა მოსდევს 2 დარტყმით. როგორც ხედავთ, ჯაბას ყოველი მეორე დარტყმა საგოლე იყო. ევროპის მასშტაბით ყველაზე მეტი, 20-20 ზუსტი დარტყმის ავტორები ჰუნტელარი და ესპანელი **დავიდ ვილია** არიან. მესამე შედეგი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია** 18 დარტყმით.

კარის მიმართულებით დარტყმებში სომეხი **იურა მოვისიანი** ლიდერობს - 20, ორით ნაკლები მითვალა ვილიამ. ქართველთაგან საუკეთესოების, მარცვალაძის, კანკავასა და **ზურაბ ხიზანიშვილის** აქტივობა კი მხოლოდ 6-6 დარტყმია.

თამაშარეში ყველაზე მეტჯერ, 18-ჯერ, ბოსნიელი **ედინ ჯეკო** აღმოჩნდა,

საქართველოს ნაკრებს აქაც მოკრძალებული მაჩვენებელი აქვს - ოფსაიდი თანამსაჯემა 6-ჯერ დაუფიქსირა **ვლადიმერ დვალაშვილს**, 3-ჯერ კი - **ლევან კობიაშვილს**.

განვილიო ციკლი გაუძევებლად ჩავამთავრეთ და საქართველოს ნაკრებს არც კატასტროფული რაოდენობის გაფრთხილებები მიუღია. 3 ყვეთელი ბართი უჩვენეს ზურაბ ხიზანიშვილს, 2-2 - უჩა ლობჯანიძეს, ოთარ მარცვალაძეს, ჯაბა კანკავასა და **ლევან კობიაშვილს**, თითო-თითო - **ლევან მჭედლიძეს**, **აკაკი ხუბუტიას**, დავით თარგამაძეს, **გოგიტა გოგუას**, დავით სირაძეს, **გურამ კაშიას**, **ალექსანდრე იაშვილს**, **ალექსანდრე ამისულაშვილსა** და **ნუკრი რევიშვილს**.

საქართველოს ნაკრების ყველაზე უხეში ფეხბურთელი ხიზანიშვილია, რომელმაც თამაშის წესები 12-ჯერ დაარღვია. მას 11-11 ჯარიმით ამისულაშვილი და **კახა კალაძე** მოსდევს. ამ არცთუ საპატიო ნომინაციის ლიდერი ისლანდიელი **იოან ედმუნდსონია**, რომელიც 28-ჯერ დაჯარიმდა.

ყველაზე მეტჯერ, 35-ჯერ, თამაშის წესები ბერძენი **გიორგიოს კარაგუნის** წინააღმდეგ დაარღვიეს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან კი ამ მხრივ საუკეთესო კობიაშვილია 19 ჯარიმით. 13-ჯერ ეუხეშნენ გოგუას, რომელმაც გასულ შესარჩევი მხოლოდ 5 მატჩი ჩაატარა.

რაც შეეხება გუნდურ სტატისტიკას, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 20 გაფრთხილება მიიღო, კარის ჩარჩოში 41-ჯერ დაარტყა, თამაშარე მდგომარეობაში 20-ჯერ აღმოჩნდა, 49 კუთხური ჩაანოდა და 123-ჯერ დაჯარიმდა.

ჩვენი გუნდი თავისი 7 გოლით ევროპულ ნაკრებებს შორის 36-ე ადგილს რამდენიმე ნაკრებთან ერთად იყოფს, მიღებული ბურთების სიმცირით კი მე-18 პოზიციაზეა.

ყველაზე მეტი, 37 გოლი ჰოლანდიამ გაიტანა, სან მარინოს კი ამ გრაფაში 0 უნერია. ყველაზე ბევრიც, 53, იმავე სან მარინომ გაუშვა, იტალიას კი მხოლოდ 2-ჯერ გაუტანეს.

● **ინტერვიუ**



შოთა ბრიგალაშვილი სტუმრად ვიყავი, შინ დავბრუნდი

ბევრი შრომით დაკარგულიც ანაზღაურდება

საქართველო-საბერძნეთის მატჩის 18-კაციან განაცხადში ქართულ კლუბებში მთამაშე მხოლოდ ორი ფეხბურთელი მოხვდა - "ზესტაფონის" **ნევერე** შოთა გრიგალაშვილი და როინ კვასხვაძე. მათგან მხოლოდ გრიგალაშვილმა ითამაშა და ამ მატჩისა და სხვა თემებზე სწორედ მას ვესაუბრეთ.

- საბერძნეთთან მარცხი ლოგიკურად მიგაჩნია?

- ვალიაროთ, რომ საბერძნეთს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავს, მაგრამ ამ კონკრეტულ მატჩში ბევრით ვერაფრით გვაჯობეს. სანამ მოედანზე ათნი დაერჩებოდით, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მერე კი თამაშის სადავებები დავთმეთ და შესარჩევი ციკლი ასეთი დასანანი მარცხით დავასრულეთ. ფაქტია, რომ მეტოქე ჩვენზე უფრო იღბლიანი იყო.

- როგორ ფიქრობ, საბერძნეთის ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა?

- ჩემი აზრით, ხორვატია უკეთესი გუნდია. მისი დამარცხება კი შევეძლით, მაგრამ ეს გაცილებით ძნელი გასაკეთებელი იყო, ვიდრე საბერძნეთთან გამარჯვება.

- მეორე ტაიმის დასაწყისში მწვრთნელის გადაწყვეტილებით შეცვალეს თუ ტრავმა მიიღე?

- არა, ეს მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო, კანკავა და მჭედლიძე კი ტრავმების გამო შეიცვალნენ.

- საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა. ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს ცუდი შედეგია.

- მხოლოდ მალტას გავასწარით, რაც საამაყო ნამდვილად არ არის. უკეთესი შედეგისთვის ცდა არ დავაკლია, მაგრამ ეს თავის გასამართლებელ საბუთად

არ გამოდგება. ერთადერთი, რაც დადებითი იყო, ისაა, რომ გასული წელი საქართველოს ნაკრებმა დაუმარცხებლად განვლო, თუმცა მე ამაში წვლილი საერთოდ არ მიმიძღვის.

- საბერძნეთთან მატჩის შემდეგ ქეცბაიამ რა გითხრა?

- განსაკუთრებული არაფერი, გულდნაყვეტილი იყო, მადლობა გადაგვისადა და მომავალ შეკრებამდე დაგვემშვიდობა. ქეცბაი ემოციური შესვენებასა და თამაშის დროსა, მაშინ კი, როცა ალარაფრის შეცვლა შეუძლია, ამა თუ იმ ნიუანსს მშვიდად გვიხსნის.

- ელოდი თუ არა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას?

- თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ 18-კაციან განაცხადში შემიყვანდნენ, სასტარტოში მოხვედრის იმედიც მქონდა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, რას გადაწყვეტდა სამწვრთნელო შტაბი.

- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებ?

- საშუალოდ. უმეტესად, დაცვითი ფუნქციების შესრულება მიწვედა. ბევრი ვიბრძოლე და თავი არ დამიზოგავს, მაგრამ ეს ჩემი ძლიერი მხარე ნამდვილად არ არის.

- აქვს თუ არა საქართველოს ნაკრებს თუნდაც იმის პოტენციალი, რომ ცხრილში შუა ადგილები მაინც დაიკავოს?

- ვფიქრობ, რომ აქვს. აუტსაიდერის დონეზე ყოფნა არ გვეკადრება და ეს შემდეგ შესარჩევი აუცილებლად უნდა დავამტკიცოთ.

- ეროვნულ ნაკრებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდი. იყო თუ არა ლოგიკური ამხელა შესვენება და როდის უფრო იყავი მზად სანაკრებოდ, მაშინ თუ ახლა?

- როდის ვიმსახურებ ნაკრებში თამაშს, ეს მწვრთნელმა, მედიამ და გულშემატკივრებმა უნდა განსაჯონ, პაუზა

კი აბსოლუტურად ლოგიკური იყო. საფეხბურთო კარიერაში ხანგრძლივი ჩავარდნა მქონდა, რომელიც, ვალიარებ, მხოლოდ ტრავმებით არ იყო გამოწვეული. ადრე ფეხბურთში სულს და გულს არ ვდებდი, თუმცა, საბედნიეროდ, გონს დროულად მოვეგე და დღეს საქმეს სრული სერიოზულობით ვეკიდები. კიდევ კარგი, კარიერა დროულად გადავარჩინე. დროს უკან ველარ დავბრუნებ, მაგრამ ძალიან დიდი პერიოდის არ გამოვლანგავს. ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

- როგორი განწყობით დაბრუნდი "ზესტაფონში"?

- ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სტუმრად ვიყავი და შინ დავბრუნდი. ნაკრებში აღაპტაცია ბოლომდე ჯერ არ გამოვლია, "ზესტაფონი" კი ჩემთვის სამდვილი ოჯახია, სადაც თავს ძალიან კომფორტულად და ბედნიერად ვგრძნობ.

- "ზესტაფონი" დღეს ძველებურად ძლიერია?

- ყველაფერი რიგზე გვაქვს და მალე უფრო გავძლიერდებით. გორგი ჭიანჭიშვილთან ბიჭებს შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, თუმცა ყველამ ვიცით საკუთარი უფლება-მოვალეობები და დისტანცია შენარჩუნებულია. გვეჯერა, რომ მისი ხელმძღვანელობით "ზესტაფონი" ახალ სიმაღლეზე ავა.

- საზღვარგარეთ ჯერ არ ვითამაშია და წარმოუდგენელია, ამაზე არ ფიქრობდე.

- ჩემთვის უცხოეთში წასვლა იდეა-ფიქსი არ არის. "ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და არსად მექარება, უცხოეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ კლუბისა და ქვეყნის დონე ჩემთვის მისაღები იქნება.

გვერდი მოაზრდა ლევან ჯანაშვილმა



რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში“
E-mail: hr@kvirispalitra.com

სანაკრებო მასივი

ორკვირიანი პაუზის შემდეგ დღევანდელი და ხვალისდღეობით XXIII ჩემპიონატი განახლდება; თუმცა, ამჯერად სხვა თემაზე მოგვინებს საუბარი: სამწუხაროდ, 2011 წლის ბოლოსინა სანაკრებო პაუზამ იმედგაცრუების მეტი არაფერი მოგვიტანა: საქართველოს ნაკრებმა მორიგი შესარჩევი ციკლი ჩააგდო და ქვეჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ მალტას გაეუსწართ. არადა, გულდასაწყვეტი ის უფრო არის, რომ შესარჩევი ციკლი მართლაც დამაიმედებლად დაიწყო და ხუთი ტურის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალურ შანსსაც ვინარჩუნებდით; თუმცა, დასკვნითი ხუთი ტური კომპარული გამოდგა და ამკარად არცთუ ძლიერ ჯგუფში დაკავებული მეხუთე ადგილიც რეალურად ასახავს ქართულ ფეხბურთში არსებულ დღევანდელ ვითარებას. ოღონდ, ასე მხოლოდ და მხოლოდ ქართული სპორტული მედია და ქართველ გულშემატკივართა თითქმის 99 პროცენტი ფიქრობს; სამაგიეროდ, აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას: თურმე ან დასრულებული შესარჩევი ციკლიც წარმატებული ყოფილა და საერთოდაც, ქართული ფეხბურთი აღმა-

ლობის გზას ადგას. რას ვიზამთ: ვიდრე ფეხბურთი იარსებებს, აზრთა სხვადასხვაობაც მუდამ იქნება. აგერ, ბატონო, ტელეკრანიდან გვიმტკიცებენ, რომ თურმე ამ ბოლო დროს 9 (ცხრა!) ახალი სტადიონი გაკეთებულა, არადა, ნეტავ მართლაც ასე ყოფილიყო, — ბოლოს და ბოლოს ჩემპიონატისა თუ სათასო მატჩები... ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის („ბასა“) სავარჯიშო მოედანზე ხომ აღარ ჩატარდებოდა? თუმცა მთლად დაუნახაობაც არ ივარგებს: „მიხეილ მესხის“ სტადიონის მოედნის საფარი მართლაც ჩინებულია (რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთ ტრიბუნის კენწეროში „გადასროლილი“ ფურნალისტებისათვის შექმნილ „პირობებზე“), „დინამოს“ სტადიონიც მალე ჩადგება მწყობრში, ფოთსა და გორშიც სასიკეთო ცვლილებებია და ასე შემდეგ. თუმცა, რაც დრო გადის, ეროვნული ჩემპიონატის დონეც კლებულობს, ისე როგორც ტრიბუნებზე გულშემატკივართა რიცხვი (ერთი-ორი სტადიონის გამოკლებით). საქმეს არც ჩემპიონატის რეგლამენტის ხშირ-ხშირი ცვლა შველის: გვიმტკიცებენ, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდით დონე ამაღლდება! არადა, ერთი-ორგან ისეთი სიტუაციაა შექმნილი,



XXII ჩემპიონატის მეოთხე წრე, დინამო-მეტალურგი 2:0

	დილა-განა bwin: 2.30 2.90 3.00		15.10. თბილისი. ბაქინიანი ცნებანი ბასა	15:00
	მარანი-სპორტი bwin: 1.40 3.70 8.00		15.10. მარაბილი ცნებარაული	15:00
	ვიტ ჯორჯიან-კოლხათი bwin: 1.57 3.40 5.50		15.10. მცხეთა მცხეთა პარკი	15:00
	ზესტაფონი-ბაბრა bwin: 1.30 4.25 9.50		15.10. ზესტაფონი დ. აბაშიძე	18:00
	დინამო-მეტალურგი bwin: 1.62 3.40 5.00 Live რეპორტაჟი ვიდეო არხზე		16.10. თბილისი 8. მესხი	18:00
	ტორპედო-სპარტაკი bwin: 1.40 3.70 8.00		16.10. ქუთაისი. ბორჯაბო	18:00

უხელფასო და უყველადრო ფეხბურთელებს ლამის მუხლებზე დაუდგენენ: თქვენი ჭირიმი, ოღონდ ეს შეხვედრა ითამაშეთ და მერე „რალაც“ გამოჩნდება. ისე, ზემოთ სტადიონების თემა რომ ვახსენებ, კლიმატურ პირობებზე არაფერი გვითქვამს - ჯერჯერობით „მშვენიერი“ ოქტომბერია, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში ორი-სამი დღე წვიმა და თოვლი რომ წამოვიდეს, აი, მაშინ როგორ ჩატარდება

რამდენიმე სტადიონზე ჩემპიონატისა თუ თასის შეხვედრები, მართლაც ძნელი სათქმელია. ...ნესითა და რიგით, „ლელოს“ მკითხველისათვის დღეს IX ტურის წინათქმა უნდა შეგვეთავაზებინა; ბოლოს და ბოლოს, ამ ტურში ხომ მართლაც გამორჩეული მატჩი გველოდება („დინამო“ - „მეტალურგი“), მაგრამ მერამდენედ ჩადგებული შესარჩევი ციკ-

ლის (უფრო ზუსტად, ჩვენი ნაკრების ბოლო თამაშების) „ექო“ კვლავაც ყურში ჩაგვეკმის. თუმცა, დრო ყველადრის მკურნალია და ახლახან დასრულებული „წარმატებული“ შესარჩევი ციკლიც, როცა იქნება, ყველას დააინწყდება — ჩვენც ისლა დაგვრჩენია, მომდევნოს თუ არა, იმის შემდეგ შესარჩევი ციკლს მაინც შეეცქირით იმედინად.

გია ტუხაშვილი

კლ	გუნდი	სულ					მინ					სტუმრად										
		მ	გ	ფ	ნ	ბურთები გატ. გაპკ	მ	მ	გ	ფ	ნ	ბურთები გატ. გაპკ	მ	მ	გ	ფ	ნ	ბურთები გატ. გაპკ				
1	დინამო	8	6	1	1	17	7	19	3	2	1	0	6	3	7	5	4	0	1	11	4	12
2	ზესტაფონი	8	5	2	1	14	11	17	4	2	1	1	6	6	7	4	3	1	0	8	5	10
3	მეტალურგი	8	4	2	2	9	5	14	5	3	2	0	7	1	11	3	1	0	2	2	4	3
4	განა	8	4	1	3	11	6	13	5	3	0	2	9	3	9	3	1	1	1	2	3	4
5	ტორპედო	8	4	1	3	7	6	13	4	2	1	1	5	3	7	4	2	0	2	2	3	6
6	მარანი	8	3	2	3	8	10	11	3	2	1	0	5	2	7	5	1	1	3	3	8	4
7	ვიტ ჯორჯია	8	3	2	3	8	10	11	4	2	1	1	5	5	7	4	1	1	2	3	5	4
8	დილა	8	3	1	4	13	12	10	3	1	0	2	2	3	3	5	2	1	2	11	9	7
9	ბაბრა	8	3	1	4	9	8	10	5	2	1	2	6	3	7	3	1	0	2	3	5	3
10	სპარტაკი	8	1	4	3	5	8	7	5	1	2	2	5	6	5	3	0	2	1	0	2	2
11	კოლხათი	8	1	3	4	4	10	6	3	0	0	3	0	5	0	5	1	3	1	4	5	6
12	სიონი	8	0	2	6	3	15	2	4	0	1	3	3	9	1	4	0	1	3	0	6	1

ლეგიონერი

გაიხარე, გაგვახარე! ჯანო ანანიძის ხშირი ტრავმიანობა გართლავს დასაფიქრებელია

სპარტაკი ანანიძის ტრავმების მიზეზს ეძებს

მოსკოვის „სპარტაკის“ ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას აგრძელებს. ჯანომ კოჭი სექტემბერში დაიზიანა და მას შემდეგ მკურნალობდა, ცოტა ხნის წინ კი ინდივიდუალური რეჟიმით ვარჯიში დაიწყო.

გუშინ ანანიძემ კომპლექსური სამედიცინო შემოწმება გაიარა და, „სპარტაკის“ ექიმების ანალიზების საფუძველზე დაადგინეს, რა ინვესსია ახალგაზრდა ფეხბურთელის ხშირ ტრავმიანობას, ამის შემდეგ კი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რა დოზით შეიძლება მისი დატვირთვა.

კლუბის პრესსამსახური იუწყება, რომ 19 წლის ქართველი ნახევარმცველი მოედანს ნოემბრის შუა რიცხვებამდე ვერ დაუბრუნდება. ამჟამად ჯანო კვლავ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

ასე რომ, საქართველოს ნაკრებმა ნოემბერში აშხანაგური შეხვედრები რომც ჩატაროს, ჯანო „ჯვაროსნებს“ ვერ დაეხმარება.

მერაბ მაგულაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

ორი ოლიმპიი საშუალები

„ევროპული სკოლის“ მოედანზე დასრულდა 2000 წელს დაბადებულ ბავშვთა ტურნირი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ნორჩი ფეხბურთელის, **ივარი ჭელიძის** ხსოვნას მიეძღვნა. გამარჯვებული სწორედ მისი თანატოლები და კომპლექტებული „ოლიმპი“ (მწვრთნელი **გიორგი გიორგაძე**) გახდა, რომელმაც ფინალში „ევროპულ სკოლას“ 4:3 სძლია. მესამე ადგილი „ოლიმპის“ მეორე გუნდმა დაიკავა.

ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, გამარჯვებულმა, პრიზორებმა და ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოებმა ფასიანი პრიზები მიიღეს.

ნიკა გვათუა

ახსოვნი ფაბრიკი

ინგლისის ნაკრები



რუნი სამ მატჩს გამოტოვებს

უკვე ვერდიტი გამოიტანა: 25 წლის უეინ რუნი, ჩერნოგორიასთან შესარჩევ შეხვედრაში გაძევების გამო, 2012 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ვეფუფურ ეტაპზე სამივე შეხვედრას გამოტოვებს!

„რუნის ერთმატჩიან ავტობიოტურ დისკვალიფიკაციას კიდევ ერთ მატჩს თუ დაამატებდნენ, ხმას არავინ ამოიღებდა — ამას ველოდით. ორი მატჩი ჩაქურჩის ჩარტყმას დავმსგავსებოდა, სამი კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გულში ხანჯლის გაყრა“.

ილია ბაბუნაშვილი

სერია A VII ტურის წინ

როზი რიის მილოლინი

ვილანელაზი სიცილიელთა წინააღმდეგ

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Lazio, Fiorentina, Napoli.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Fiorentina, Lazio, Lazio.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Lazio, Lazio, Lazio.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Lazio, Lazio.

Table with 11 columns: Rank, Team, G, A, S, D, W, P, F, A, D. Lists various football teams and their statistics.

ბომბარდირები: 5 - პალაიო (ჯენოა), ვოინკო (პარმა); 4 - დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 3 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა), როინი (სიენა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

ბანგვილინი ხუთი ტურის შემდეგ, ჩემპიონატს ორი „ბიანკონერი“ ლიდერობს, რომლებსაც ამ უქმეებზე გასვლითი პაექრობების გამართვა მოუწევთ; „უდინეზე“ ბერგამოს „ატალანტას“ სტუმრობს, ხოლო „ოუვენტუსი“ ვერონის „კიევოს“.



რომაული დერბი

ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ანტონიო კასანოს ტანდემი შეუტევენ, მათ უკან კი ახლადგამოჯანმრთლებული როზინიო იმოქმედებს. სრულ მზადყოფნაშია კლარენს ზედორფი, რომელიც ნახევარდაცვაში ანტონიო ნორჩინოს და მარკ ვან ბომელს დაუმშვენებს გვერდს.

მოსაგებად ემზადება „ინტერი“, რომელიც „კატანიასთან“ ატარებს გასვლით პაექრობას. „გაძეტას“ ვერსიით, დისკვალიფიცირებული კლაუდიო რანიერი შეტევაში ჯამპაოლო პაციინისა და მასურო სარატეს ტანდემი გაამსვენებს.

საფარულო შემადგენლობა (4-3-1-2): მარკეტო - კონკო, ბიავა, დიასი, რადუ - გონსალესი, ლუდესმა, პროკი - ერნანესი - სიუე, კლოზე.

უდუარდო რეისაგან ვანსხვავებით, ლუის ენრიკეს საკადრო პრობლემები ნამდვილად აქვს - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ლაციოს“ წინააღმდეგ თვით ფრანჩესკო ტოტი ვერ ითამაშებს, „ჯალოროსის“ კაპიტანი და მთავარი დამრტყმელი ძალა მიუსხედავად ამისა, ტოტი რჩება ჯურნალისტთა ყურადღების ცენტრში და კომენტარს კომენტარზე აკეთებს.

ახსოვნი

რუმინებს ჰაინაისი დიდ ხანს უნდა

მიუნხენის „ბაიერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, კარლ-ჰაინც რუმენიგემ რეკორდმისტერის ამფიმიხედულ თავკაც იუპ ჰაინკესთან ახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვა. „მინდა, რომ ჰაინკესი „ბაიერნში“ უფრო დიდხანს დარჩეს და სხვათა შორის, ეს მარტო მე კი არა, სხვა ხელმძღვანელებსაც სურთ, - აცხადებს რუმენიგე, - ჩვენ, „ბაიერნის“ ბოიები, მისი მუშაობით აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ და გვჯერა, რომ ჰაინკესს კიდევ დიდხანს შეუძლია უმაღლეს დონეზე მუშაობა.“

ბაბუნაშვილის დაივიწყა

საშპრამპი იმაზე, რომ ტურინის „იუვენტუსის“ „ჰოფენჰაიმის“ მარჯვენა მცველის, ანდრეას ბეკის გადაბირება სურდა, ორი წლის წინ დაიწყო, მაგრამ 24 წლის ბეკი დღემდე „ჰოფენჰაიმში“ მეტიც: იმის გამო, რომ ამ ზაფხულს ტურინელებმა ანდრეასს ყურადღება აღარ მიაქციეს, ბეკმა „ჰოფენჰაიმთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. მის ძველ ხელშეკრულებას ვადა მომავალ ზაფხულში გასდობდა, ახალი კონტრაქტით კი ბეკმა „ჰოფენს“ თავისი ბედი 2014 წლამდე დაუფავებია.

გოტფრიდ ლანცი



ანდრეას ბეკი

ლიბა 1. X ტარის ნი



პსუ-ს ფერები მენეჯი არ ეყოლება

აუღებელი კორსიკა

Table with 2 columns: Name and Time. Lists names like ოსარი-ლილი, ბრასტი-პანი, etc., and their corresponding times.

თი გაატარა, მაგრამ მერე მცირე ტრავმა მიიღო და მწვრთნელების გადაწყვეტილებით პარიზში დარჩა.

ლუგანოს არყოფნის მიუხედავად, გუნდს დაცვაში პრობლემები არ უნდა შეექმნას, რადგან თითქმის ორთვიანი პაუზის შემდეგ ძირითადად უბრუნდება კაპიტანი მამადუ სახო, ვისაც მილან ბიშევატი შეუწყვილდება.

„აიაროს“ თავკაცი ოლივიე პანტალონი მატჩს ფრთხილ ოპტიმიზმით უყურებს: „ფიქრობ, მიმდინარე სეზონში 40-42 ტულა ტრადიციულად იმის გაზრდას ვახდებთ, რომ მომავალ წელს ისევე ქვედა ლიგაში არ მოგვინიოს თამაში (თუმცა წინა წელს 44-ტულიანი „მონაკო“ გავარდა). ამისთვის სერიოზულად გარჯა მოგვინევს. ჩვენზე დამოკიდებულს ყველაფერს გვაკეთებთ, რომ ზამთრისთვის ამის ნახევარზე ცოტა მეტი დაევაგროვოთ. ახლა ცოტა სერიოზული პერიოდი გვაქვს, რადგან „პარი სენ-ჟერმენის“ შემდეგ „ველოდრომზე“ მოგვინევს „ოლიმპიკთან“ სტუმრობა, შემდეგ კი „ბორდოს“ ვმასპინძლობთ. უახლოესი მეტოქით მოხიბლული ვარ, რადგან მათ ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, რომ მთელი გზის თავისუფლად გავლას შეძლებენ. მათ უკვე ახლა არანორმალური ტემპით აქვთ აკრედიტი.“

„აიაროს“ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. საეჭვოა გილერმო ოროს ასპარეზობა, ვინც კოჭის ტრავმის გამო მექსიკისა და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრაშიც ვერ შეძლო „პენტაკამპონებთან“ დაპირისპირება. დისკვალიფიცირებულია კაპიტანი ფანბატისტი პიერაცი, ვისაც „დიჟონთან“ შეხვედრის 90-ე წუთზე პირდაპირ წითელი ბარათი აუფრიალეს. არ იქნება მეჰდი მოსტეფაც. სამთამაშიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ უბრუნდება გუნდს იოან კავალი.

Table with 6 columns: Rank, Name, and Statistics. Lists players like 1. პსუ, 2. მონაკო, 3. ლიონი, etc., with their respective stats.

მარსელი

ვაითო, მართლა გაყიდა...

ქალაქ მარსელის ადმინისტრაციის განცხადებით, პრინციპში ვერ და არ შეენიანა დღემდე მარგარიტა ლუი დრეიფუსის მიერ „ოლიმპიკის“ გაყიდვას, მაგრამ არც პოტენციური სპონსორის ეროვნებასთან ექნებათ რამე პრობლემა.

მშვიდი გარემო გუნდის შიგნითაც არ არის და ასე გრძელდება უკვე დიდი ხანია. აგვისტოს ბოლოს დიდი დეპრესიამ ანდრე-პიერ ჟინიაკი „ფულჰემში“ ლამის ძალით გაყიდა, რაზეც ფეხბურთელს მწვავე რეაქცია შეჰქონდა.


ჟინიაკმა ვარჯიში ოთხშაბათს დაიწყო. როგორც კლუბის საიტზე იტყობინებიან, დატვირთვას მისთვის პრობლემები არ შეუქმნია. „მისთვის ამჟამად მძიმე ეტაპია, რადგან სრულფასოვნად დიდი ხანია აღარ უვარჯიშობია, - აცხადებს დეჰამი. - რაც ყველაზე მთავარია, ვარჯიშებისას ტკივილი მას უკვე აღარ აწუხებს, მაგრამ უნდა შევეუოს აზრს, რომ თამაშებისას შეიძლება ხანდახან მაინც შეწუხდეს. ასეთი მძიმე ტრავმები ასე იოლად არ ჩაივლის. მას არნახული მოტივაცია ამოძრავებს. ერთი სული აქვს, როდის გამოვა მინდორზე, ჩიცვამს ბუცებს და თანაგუნდელებთან ერთად იბრძოლებს გამარჯვებისთვის. წინასწარ რამის თქმა ძნელია, მაგრამ თუკი „ტულუზთან“ მატჩისთვის ის მზად იქნება, გამოირიცხული არ არის ითამაშოს კიდევ, თუმცა მოვლენათა დაჩქარება არ ვაპირებთ.“

ჟინიაკის შესაძლო დაბრუნებაზე კომენტარს აკეთებენ მისი თანაგუნდელებიც. ბენუა შერიუს თქმით: „ის ჩვენს თამაშს უსუსტად იმას შემატებს, რაც ასე ძალიან გვაკლია. ის მუშა ფეხბურთელია და გოლების გატანაც უყვარს. ამჟამად ყველაზე მეტად რაც გვჭირდება, ეს ჯანმრთელი ფეხბურთელები არიან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რა პრობლემების წინაშეც ვდგავართ.“



პიერ-ანდრე ჟინიაკი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს

სახალხო ფეხბურთი



სამსრამთაქველურნი ქალაქის ბელსკა ბაღის ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა საფეხბურთო კლუბმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს: ქალაქის სისხლის ბანკის შეკვების მიზნით გამოაცხადეს მსურველთა მიღება და ყოველ დონორს საჩუქრად პოლონეთის თასზე გასამართი საფეხბურთო მატჩის ბილეთი ალთქვეს.

ამბები

იოლანდიას ლიდერი დაახლოება

რომი კინი ბარდაყის ტრავმის გამო პლეი ოფში ესტონეთთან დაპირისპირებაში (11 და 15 ნოემბერს) იოლანდიის ნაკრების დახმარებას ვერ შეძლებს. ლიდერის არყოფნა კუნძულელებს შეიძლება დიდად არც დაეტყოს, რადგან ბოლო მატჩებს ისევე დაც მის გარეშე ატარებდნენ, მაგრამ ეს ფაქტი მაინც უსიამოვნოა.

პსუ-ის პირველი ნაბიჯი

„პარი სენ-ჟერმენი“ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა დევიდ ბექჰემთან კონტრაქტის გასაფორმებლად. „ლოს ანჯელეს გალაქსის“ 35 წლის ვარსკვლავი ნომბრის შემდეგ ამერიკაში სათამაშოდ რომ არ დარჩება, ეს პრაქტიკულად უკვე განუწყვეტილია.

Advertisement for REHAU featuring a window blind and text: 'REHAU Unlimited Polymer Solutions', '200', 'შეიქმნეთ ფანჯარები „ნეაროკალიბით“ და დაიბრუნეთ ღირებულების 15% ახალ ა-3ე ლუქსი რაჰაუს ლიცენზირებული მფარველებით'.

სამბო.

რიგაში რუსებს ვერ ვპლყით

ბუშინ რიგაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო ახალგაზრდა და ქაბუკ სამბისტოა შორის, რომელიც თავიდანვე „რუსული აქცენტით“ წარმართა - ვაჟებში ოთხი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, თუმცა მედლები ქართველმა სამბისტებმაც მოიპოვეს. კერძოდ, ახალგაზრდებში თორნიკე თათარაშვილი (62) და ლაშა ზურაბიანი (82) ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, ხოლო ქაბუკებში ჯაბა ბინაძე (75) ასევე ფინალში ჩაიბრუნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საბოლოო შედეგზე ვერაფერს გეტყვით. მიზეზი კვლავაც ადრინდელია - ინფორმაციის სიმწირე. სამწუხაროდ, როგორც სამბისტთა სხვა ტურნირებზე, ინფორმაციები არც ამ შეჯიბრებიდან მოდის ოპერატიულად. ვიცით მხოლოდ ის, რომ თათარაშვილი ფინალში ვადაძემ დაამარცხდა რუს ვლადიმერ ბალიკოვთან, ზურაბიანი კი ასევე რუს სერგეი გოვიადინთან წააგო ქულებით. ფინალში ბინაძეც რუსს ხვედებოდა - ივან ნიკოლინს.

გუშინ ჩვენებიდან ახალგაზრდებში ლევან ბერძენიშვილიც (48) ჩაიბრუნდა, ქაბუკებში - ლერი ბედინაძე (48) და ოთარ გაბუნია (60). სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, მათ შედეგებს - იქნებ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს კიდეც, მაგრამ როგორც უნდა გამოსულიყვნენ, ახალგაზრდების შედეგები მაინც საყურადღებოა - სამი მოჭიდავიდან ორმა ფინალში იასპარეზა.

დღეს ქაბუკთა შორის ჩვენებიდან აბესალომ ვაშაყმაძე (52), ბექა ტულუმი (65), რევაზ ნულუკიძე (81) და გაგა ჯიხვაძე (+87) იჭიდავებენ, ახალგაზრდებში კი გუნდის მთავარი ლიდერები იასპარეზებენ - გივი ნადარეიშვილი (52), ზვიად კაპანაძე (68), გიორგი ნოზაძე (90) და სლავა რეხეციძე (+100) ანუ ის ოთხეული, რომელსაც მთავარი თუ ძირითადი ასაკობრივ ტურნირებში არაერთი მედალი მოუპოვებია. დღესვე იასპარეზებს გოგონათა ტურნირის ერთადერთი მონაწილე შორენა შარაძეც (64).


ირაკლი თაყაიძე



თორნიკე თათარაშვილი




ლაშა ზურაბიანი



ჯაბა ბინაძე

თავისუფალი ჰიდაობა. მელტა.



დიმიტრი მინდიაშვილი და ბუვაისა საიტყევი

საიტივის ბრუნდება? ოლიმპიური ჩემპიონი ახალ რეკორდს უტეხს

საქართველოს საიტყევი მწვრთნელ დიმიტრი მინდიაშვილს დაეკითხეთო, ასე გვიპასუხა ორი კვირის წინ სახელოვანმა ჩემპიონმა მოჭიდავემ, მსოფლიოსა და ევროპის 6-6-ჯგუფის, ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა ბუვაისა საიტყევმა, როცა მსოფლიოს პირველობიდან მომავალი გზად საქართველოში შეჩერდა. ჰოდა, დიმიტრი მინდიაშვილმაც გაანაცხადა - საიტყევი ვარჯიშს იწყებს და შეიძლება, ლონდონში კიდევ ერთხელ მოიგოს ოქროს მედალი. თუ მწვრთნელის სიტყვები გამართლდა, საიტყევი უნიკალური მოჭიდავე გახდება - პირველი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ჯერჯერობით ის ალექსანდრ მედევეთან და ალექსანდრ კარეშინთან ერთად სამ-სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონთა სამეულში შედის, ახლა კი ახალ სიმაღლეს უტეხს. ეტყობა, საიტყევი საორტში დაბრუნება ამ რეკორდის გასაუმჯობესებლად უფრო გადანჯვრება. მით უფრო, როცა კარელინმა ამის შანსი სიბერეში დაკარგა - ფინალი ამერიკელ რულონ გარდნერთან წააგო, რეკორდის გამაუმჯობესებელი სხვა რეალური კანდიდატი ჯერჯერობით არ ჩანს.

საიტყევი მესამე ოლიმპიური ოქროს პეკინში მოიპოვა და მას შემდეგ არც უჭიდავია - დაღესტურ ხასავეურტში თავისი სახელობის საჭიდაო სკოლა გახსნა და მთელ დროს მის გაძლიერებას ახმარს. ის სექტემბერში სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორღაც უჭიმრად ჩავიდა - დარბაზში ლამის არც ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენი დელეგაციის წევრებისგან ვიცით, ის მხოლოდ ბოლო დღეს შეამჩნიეს. ეს ამხელა ლეგენდა კაცი თავისთვის იჯდა სადღაც ტრიბუნაზე და, სამაგიეროდ, ყველაფერს ფხიზლად აკვირდებოდა. სწორედ მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ საორტში დაბრუნებას აპირებდა და სავარაუდოდ მეტოქეებს ზვირადა. თბილისში ყოფნისას თურმე ჩვენი მოჭიდავეების ისეთ ნიუანსებზე გაამახვილა ყურადღება, ამკარა ვახდა, სტამბოლში ყველას გაფაციცებით აკვირდებოდა. ცხადია, განსაკუთრებით თავისი ნონა - 74 კილოგრამი ანტირესტებდა და დავით ხუციშვილზე (74) საინტერესო მოსაზრებაც გამოუთქვამს, ძალიან ნიჭიერია, მაგრამ საცოდაობაა, ტექნიკურად რომ ვერ ჩაიბრუნებს, მწვრთნელს გადაეცით,

ილიტები ასწავლონ, სანამ ჯერ კიდევ არაა გვიან, თორემ ცოცხალი ბიჭიო. საქართველოს საიტყევი მწვრთნელ პამიდ საიტყევთან ერთად ენვია, რომელთანაც მას შემდეგ ვარჯიშობდა, რაც კრასნოიარსკიდან ხასავეურტში გადმოსახლდა და მანამდე მწვრთნელ მინდიაშვილთან ძალაუფლებურად მოუხდებოდა. თუმცა დღემდე ინარჩუნებს მასთან ახლო ურთიერთობას. ცნობილი ფალავანი ჩვენს ქვეყანაში პირველად იმყოფებოდა და ისე მოეწონა აქაურებს, თუმცა დღემდე ინარჩუნებს ჯერ ბათუმში, მერე კი - თბილისში.

დიმიტრი მინდიაშვილმა ზემოაღნიშნული განცხადება რუსულ მედიასთან გააკეთა, რომლებიც მწვრთნელს გროზნოდან დაბრუნების შემდეგ შეხვედნენ, სადაც პრეზიდენტ რამზან კადიროვის თასის გათამაშებაზე იმყოფებოდა. ინტერვიუს დასაწყისში მინდიაშვილმა აღნიშნა, რაოდენ უხარია კავკასიაში სტუმრობა, რადგან მისი სამშობლოც იქაა, თუმცა რატომღაც მხოლოდ კახეთი ახსენა და არა საქართველო! ვერ გეტყვით, ეს რუსი ურუნალისტების ინტერპრეტაცია იყო თუ მართლაც არ უხსენებია. მას შემდეგ, რაც მინდიაშვილმა დღევანდელი გროზნო ადრინდელს შეაღწა, როცა პირველად ყოფილა იქ ჩასული, აქო ახლანდელი და ჰიდაობაზე საუბრის ჯერაც დაედა. სწორედ აქ გააცხადა საიდუმლო, რომელსაც, ალბათ, მთელი საქადაო სამყარო მოუთმენლად ელოდა. „ყველა მოსწავლე ჩემი „ლიუბიმოჩკა“ და არა მხოლოდ საიტყევი. ყველას ვერ ჩამოვთვლი - ისინი ძალიან ბევრნი არიან, საიტყევი კი უკვე ლეგენდაა, უნიკალური ადამიანი. მან სამჯერ მოიგო ოლიმპიადი ისეთ წონაში, რომელშიც მუდამ არაჩვეულებრივად დიდი კონკურენციაა და სადაც საიტყევამდე ოლიმპიური ჩემპიონი არც გვყოლია. მას არ აფერხებს არანაირი ტრავმა, არანაირი სიმწლე, ის ნამდვილი გმირია. უკვე არავითარი საიდუმლო არ არსებობს - მან თავად განაცხადა, რომ იწყებს ვარჯიშს“ - ასე დაახასიათა შეგირდი მინდიაშვილმა და მისი უახლოესი გეგმებიც გაგვაცნო. მწვრთნელმა გამოცხადებულ ნარმატებით დაბრუნება იანგრის ბოლოს გასამართ ივან იარიგინის შემორიალზე: „იარიგინის შემორიალი ადრე იქნება მისთვის, მაგრამ ამის შემდეგაც ტარდება არაერთი შეჯიბრება. მინდიაშვილმა არ აქვს, მოიგებს თუ წააგებს - ამ ეტაპზე მისთვის მთავარი ტონუსში შესვლაა. მას მთელი სამი წელიწადი არ უჭიდავია, რაც დიდი დროა“. თურმე ნუ იტყვი - საიტყევი ნონას იც-

ვლის და 84-ში გადადის, სადაც ადრე მისი ძმა, ასევე მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიადის ჩემპიონი ადამ საიტყევი ჩაიბრუნდა. მინდიაშვილმა ერთ-ერთ შეხვედრაში სიმწლე წონის შეცვლაც დაასახელა: „მას აუცილებლად დასჭირდება ახალ წონაში ადაპტირება, სათანადო კონდიციონი შესვლა. ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია ვიფიქროთ რუსეთის ჩემპიონატზე, სადაც ლონდონის ოლიმპიადის შემდეგელი გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, საიტყევი იქ ჩემპიონი გახდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზულად ვაკვირდებოდი მონაწილეებს 84-ში. ბუსიკი (საიტყევის მოყვრებითი სახელია. ავტ.) ყველას მოუგებს მათ!“

საიტყევის დაბრუნებასა და შესაძლო ნარმატებზე რამდენიმე ქართველი მწვრთნელის აზრი ასეთია - მას ერთი ერთზე ნებისმიერთან შეუძლია მოგება, მაგრამ ძნელია თქმა, რამდენად ეყოფა ძალები მთლიანი ტურნირის საჭიდაოდ. სავარაუდოდ, მას ცალკეულ შეხვედრებს უყვარს. ფიზიკური მომზადება და გამძლეობა მართლაც საყურადღებოა, თუმცა ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი მწვრთნელი ფიზიომომზადებაში სალიმ ნუცალხანოვი. ისიც ხასავეურტელია და ისეთ ცნობილ ფალავანებთან უმუშავია, როგორც ბილიალ მახოვი და მახარ მურთაზალიევი არიან. 2008 წელს ნუცალხანოვი საგანგებოდ გადაიყვანეს კრასნოიარსკში სწორედ საიტყევის მოსამზადებლად და პეკინურ ოქროში მისი დიდი წვლილიცაა - ნახევარფინალში ბულგარულ კირილ ტერნიევთან მოგების შემდეგ ბუვაისამ განაცხადა, ფიზიკურად ასე კარგად მომზადებული არასოდეს ვყოფილვარო. თუმცა გაურკვეველია, გააგრძელებს თუ არა მასთან მუშაობას - ორივე ამჟამად ხასავეურტში კი ცხოვრობს, მაგრამ მინდიაშვილი კრასნოიარსკშია.

როგორც ვხედავთ, საიტყევი თუ მართლაც მოხვდება ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან დავით მარსაგვილის კონკურენტი იქნება, თუმცა ძველ წონაშიც რომ დარჩენილიყო, ჩვენი მდგომარეობა იდენტურად არ იცვლებოდა - იქაც და აქაც ოლიმპიური ოქროს კანდიდატი გვყავს, ჩემენი კი ორივეგან მათი უმთავრესი მეტოქე იქნებოდა.

ირაკლი თაყაიძე

ძველი გენი

ქაბაიანს ოქროს კიბორკალიძე მოუბანა

ბორში ჩატარდა ცნობილი ქართველი ფალავნის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის შვიდგზის (ზედზედ 1985-1991 წწ) ჩემპიონის კობა კურტანიძის სხოვნის ტურნირი ძიულში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრება ტრადიციული და ყოველწლიურად კურტანიძის დაბადების დღეს, 13 ოქტომბერს იმართება. ტიტულოვანი ფალავანი წლეულს 48 წლისა გახდებოდა. ამ დღეს გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ჩვენი ქვეყნის თხოთმეტამდე ქალაქის ალსაზრდელბმა მოიყარეს თავი. ასპარეზობას კობა მამადა შეილებიც ადევნებდნენ თვალს. ტურნირში პირველობისათვის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების პირველ ნომრებს არ მოუღიათ მონაწილეობა, თუმცა ამ ასაკში წლევეანდელი ჩემპიონატის პრიზორებიდან არაერთმა იჭიდავა. მაგალითად, 90 და 100 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულები საქართველოს წლევეანდელი ჩემპიონატის პრიზორები, თბილისელი გიორგი სეტიელი და გორელი გიგა თაყაძე გახდნენ. 55 კგ-ში საუკეთესო იქნა ბექა შავდათუაშვილი, რომელიც ახალგაზრდებში ევროპის წლევეანდელი ჩემპიონის ლაშა შავდათუაშვილის (66 კგ) ძმაა. მოუხედავად მონაწილეთა სიმრავლისა, აბსოლუტურში სულ ორმა ძიულისტმა გამოთქვა ასპარეზობის სურვილი და მათ შორის გამარჯვებული ცნობილი ქუთაისელი ფალავნის აკაკი კობორძალიძე ვაჟი გუგა კობორძალიძე გახდა. მართალია, ეს ქუთაისელი მოჭიდავეების ერთადერთი ოქროს მედალი იყო ამ შეჯიბრებაზე, მაგრამ მათ გუნდურ ჩათვლაშიც არ უჩვენებიათ ურიგო შედეგი. იმერეთის მონაპოვარი თითო პირველ-მეორე და ექვსი მესამე ადგილი იყო. ამ შედეგით კი მათ თბილისის ერთდროულად სამი დარბაზის საორტსმენტთა საერთო მიღწევა გადაფარეს (2-2 პირველი და მესამე ადგილი). საუკეთესო კი გუნდური ჩათვლაში გორის გუნდი აღმოჩნდა 4-1, 5-11 და 3-11 ადგილი (მწვრთნელები ანზორ თენაძე და ნიკო ბიბილაშვილი).

კვაჩხვლაძე

- 55 კგ: 1. ბექა შავდათუაშვილი, 2. მინდია ლოლიჯაშვილი, 3. ვანო ჯავახიშვილი (სამივე - გორი) და დათო კუპატაძე (სავარჯეო).
- 60 კგ: 1. ლევან თანიაშვილი (თბილისი), 2. ზაზა როსტომაშვილი (სავარჯეო), 3. მამუკა გიორგაძე და გოგა ლომთაძე (ორივე - ქუთაისი).
- 66 კგ: 1. ანდრო ბერუაშვილი, 2. გიორგი მუზიაშვილი, 3. ირაკლი ლომიძე (სამივე - გორი) და ცოტნე მელაშვილი (თბილისი).
- 73 კგ: 1. გეგა გეგენიძე (მარტყოფი), 2. ალიკა ნანივი (ლაგოდეხი), 3. გიორგი დარისპანაშვილი (სავარჯეო) და გიორგი ობოლაშვილი (მარტყოფი).
- 81 კგ: 1. გიორგი ხაჩიური, 2. აკაკი ზაალიშვილი (ორივე - გორი), 3. თამაზ ონიანი და გოგა კორიფაძე (ორივე - ქუთაისი).
- 90 კგ: 1. გიორგი სეტიელი (თბილისი), 2. ჯაბა კაპანაძე, 3. ოთარ ტყემულაშვილი და ჯაბა ჩეჩელაშვილი (სამივე ქუთაისი).
- 100 კგ: 1. გიგა თაყაძე, 2. უშანგი გასიტაშვილი, 3. სერგო ბალიაშვილი (სამივე - გორი) და ლაშა ტაველური (თბილისი). აბსოლუტურში: 1. გუგა კობორძალიძე (ქუთაისი), 2. გიგა გელაშვილი (გორი).

ვასილ ბალახაძე გორიდან



დავით ასპანიძის ფოტო

სპორტი



უბსკროსაბში ღიბაფუსი დანიანაურდა

გუშინ „ლაგუნა ვერეს“ აუზში დაიწყო 1995-1996 და 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ტურნირი, რომელიც სახელოვანი ქართველი მწვრთნელების — ვლადიმერ ბარნაბიშვილისა და როსტომ ჩაჩავას ხსოვნას ეძღვნება. ასპარეზობის ინიციატორები არიან ზურაბ ჩაჩავა და ვლადიმერ გოიშვილი. თითოეულ ასაკში 7-7 გუნდი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის, მათ შორის — ორი ქუთაისიდან (ბათუმელებმა შეჯიბრებზე ჩამოსვლა ვერ მოახერხეს).

მინიწყალბურთელთა ტურნირის პირველ დღეს უმცროს ასაკში (1997-1998 წ.წ.) ორი ტურის შეხვედრები (თითოეული პერიოდი 4 ბურთამდე გრძელდება) გაიმართა. წარმატებით იასპარეზა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსმა“. სოსო მისურაძის შეგირდებმა ჯერ „იმედს“ სძლიეს იოლად — 2:0 (4:0, 4:0), შემდეგ — „ივერია-2“-ს — 2:0 (4:0, 4:0) და ორი მოგებით დანიანაურდენ. დანიანაურდის პაექტობები ასე დამთავრდა: „დილომი“-„ივერია (1)“ 0:2 (0:4, 0:4), „ივერია (2)“-ქუთაისი 2:1 (2:4, 4:0, 4:3), „ლისი“-„დილომი“ 2:0 (4:0, 4:1), ქუთაისი-„იმედი“ 2:0 (4:0, 4:0).

უფროს ასაკში მხოლოდ ერთი ტურის გამართვა მოეწერა: „ლიგამუსი“-„იმედი“ 2:0 (4:1, 4:3), პირველი ექსპერიმენტული სკოლა-ქუთაისი 0:2 (2:4, 3:4), „თბილისი“-„ივერია“ 0:2 (2:4, 1:4). ქვეჯგუფებში ორთაბრძოლები დღეს დამთავრდება, ხვალ კი ნახევარფინალური და ფინალური პაექტობები ჩატარდება.

ჭაბუკ სპორტსმენთა მატჩებს თვალს ადევნებდა სახელოვანი წყალბურთელი ზურაბ ჩაჩავა. აი, რა გვითხრა მან:

როგორები

მიქაქე ფინალშია, ჩახნაფილი - ნახევარფინალში



თათია მიქაქე

„მტკვრის სანაპიროზე არსებულ საცურაო აუზში ვისწავლე წყალბურთის თამაში ვლადიმერ ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ყმანელია უანგარო დამრიგებელი და თბილისის კოლორიტული პიროვნება გახლდათ. მუდამ პრინციპულს ყველასთან თბილი ურთიერთობა ჰქონდა, ერუდიციით ხიბლავდა გარშემოყრფით. ჩემი ძმა როსტომ ჩაჩავა უფრო რთული ხასიათით გამოირჩეოდა. თუმცა, შეუდარებელი მწვრთნელი იყო. სხვა შედეგებზე რომ არაფერი ვთქვათ, მისმა დამოძღვრებამ ქართველებმა ორჯერ მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოიგვეთ. როსტომი უპირველესად აღზრდის პროცესს, არაფრისგან სახეების შექმნას აქცევდა ყურადღებას. სწორედ ამ თვისების გამო არცთუ იშვიათად კონფლიქტური სიტუაციები ჰქონდა ვარსკვლავებთან, რომლებსაც ხარვეზების გამოსასწორებლად მუშაობა არ უყვარდათ. ეტყობა, ამიტომაც ბარნაბიშვილი და ჩემი ძმაც უფრო ახალგაზრდებთან საქმიანობას აუჯობებდნენ. ჩვენც გადაწყვიტეთ, მათი ხსოვნის ტურნირი სწორედ ჭაბუკების მონაწილეობით გაგვემართა, თანაც მინი წყალბურთში. მოკლე წყალზე სპორტსმენებს მეტი იმპროვიზაციისა და ფანტაზიის გამოვლენის საშუალება აქვთ. სწორედ თამაში სპორტსმენის აზროვნების უნარიც კარგად ჩანს, ნათლად ვლინდება მისი ნიჭიერება... დიდი მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებსა და „ლაგუნა ვერეს“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც ჭაბუკ წყალბურთელებს ასეთი ზეიმი აჩუქეს.“

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

საქართველოს მეორე ჩოგანი მაკა ჩახნაფილი (183) ესპანურ სანტ კუგატში (25 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა. ჩვენი თანამემამულე ტურნირის პირველი ჩოგანია, მეოთხედფინალში მან იტალიელ ანალიზა ბონას (277) სძლია - 3:6, 6:4, 6:2. ახლა ჩვენებურის მეტოქე პერუელი ბიანკა ბოტოა (350), რომელმაც აქამდე საკვალიფიკაციო ბადიდან მოაღწია.

საქართველოს მეორე ჩოგანი მაკა ჩახნაფილი (183) ესპანურ სანტ კუგატში (25 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა. ჩვენი თანამემამულე ტურნირის პირველი ჩოგანია, მეოთხედფინალში მან იტალიელ ანალიზა ბონას (277) სძლია - 3:6, 6:4, 6:2. ახლა ჩვენებურის მეტოქე პერუელი ბიანკა ბოტოა (350), რომელმაც აქამდე საკვალიფიკაციო ბადიდან მოაღწია.

ნიკოლოზ ნაფარიძე

კადრები

ისევ ჯაკარტაში, აფხაზად ღია ჩაპიონატზე

შვიდი წლის წინათ ქართველი მოჭადრაკე სოფიკო გურამიშვილი ინდონეზიელებმა პერსონალურად მიიწვიეს ჯაკარტაში და თითქმის თანატოლ ნიჭიერ გოგონას — ირინე კარიშმა სუკანდარს შეაჯიბრეს. ექვსი პარტიისგან შემდგარი მატჩი ჩვენებურმა 4:2 მოიგო.

მას შემდეგ სოფიკო და ირინე მარაგეთ მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზეს სხვადასხვა ასაკში. 2006 წელს ბათუმში მსგავს შეჯიბრებაზე გურამიშვილი 16-წლიანებში ჩემპიონი გახდა, სუკანდარმა 14-წლიანებში მე-7 ადგილი დაიკავა. ქართველმა მოჭადრაკემ მაშინ ინდონეზიელი თბილისში მიიწვია და დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ასევე, მცხეთა, ჯვარი და სვეტიცხოველი დაათვალიერებინა. ირინე მართლმადიდებელია, ყველა ტაძარში სანთლები დაანთო. სტუმარს საქართველო და ქართული სამზარეულო ისე მოეწონა, გამომშვიდობებისას იხუმრა კიდევ — რომ გავთხოვდები, ვაჟიშვილს ჯორჯს, ქალიშვილს კი ჯორჯიანას დავარქმევო.

მეგობრები უკვე დიდოსტატები არიან და მნიშვნელოვან საერთაშორ-



სოფიკო გურამიშვილი (მარჯვენა) ირინე კარიშმა სუკანდართან და მის ჯაკარტელ მეწვეურ კრისტიანუს ლიშთან ერთად.

რისო ტურნირებში მონაწილეობენ. ირინეს მიწვევით სოფიკო ახლა ისევ ჯაკარტაშია და ინდონეზიის ღია ჩემპიონატში თამაშობს. 80 მოასპარეზეს შორის 28 დიდოსტატია, სამი მათგანი კი 2700-იანთა კლუბის წევრია. ესენი გახლავთ ჩინელები — ვან იუენ (2716) და ლი ჩაო (2710), რუსი ალექსეი დრევი (1711).

შეჯიბრების სტარტზე სოფიკო გურამიშვილმა (2359) ევი ლინდიავატი (ინდონეზია) დაამარცხა, მეორე ტურის შეხვედრა ფილიპინელ დიდოსტატ ოლივერ ბარბოსასთან (2538) დათმო, გუმინ კი შავი ფიგურებით ყაზახ აბდუმალიკ ჟანსაიას სძლია. სუკანდარმა (2330) 3 ტურში 1,5 ქულას მოუყარა თავი (დაამარცხა თანამემამულე დუაიანტი, დანებდა ინდონეზიელ სუსანტო მეგარანტოს (2530) და დაუზავდა ფილიპინელ როგელი ანტონიოს).

რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფს, 3-3 ქულით ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი), ოლივერ ბარბოსა (ფილიპინები) და ლი ჩაო (ჩინეთი) მენიანეობენ. 8 მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს. გურამიშვილი დღეს თეთრი ფიგურებით ალექსანდერ ფიერის (ბრაზილია, 2583) დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

მშვილდოსნობა. ნაკრები ჩემპიონი



იულია ლობჯანიძე

ლონდონის ოლიმპიადაზე საქართველოს ქალ მშვილდოსანთა ნაკრებში იულია ლობჯანიძის გამოსვლას საფრთხე შეექმნა. მიზეზი მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციის დებულებაა, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყანაში გადასვლის შემთხვევაში სპორტსმენს ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული ახალი პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობის უფლება არ აქვს. ცოტა უცნაური სიტუაციაა — ლობჯანიძეს ოლიმპიადაზე გამოსვლა შეუძლია, ბევრად დაბალი რანგის სალიცენზიო ტურნირებში — არა. ამ რეზუსის გასაღები იმაშია, რომ საერთაშორისო ფედერაციების გავლენა თამაშებზე არ ვრცელდება, რადგან მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ატარებს, მისი დებულება კი ათლეტს არ ზღუდავს, თუ ორი წელიწადი ძველი ქვეყნის სახელით არსად უასპარეზია. ლობჯანიძე უკრაინის მოქალაქეა, მაგრამ ზუსტად ორი წელიწადი მათი სახელით უცხოეთში არსად გამოსულა. ამდენად, ამ ორწლიან მოთხოვნას კი აკმაყოფილებს, მაგრამ ვერ იასპარეზებს სალიცენზიო ტურნირებში. საერთაშორისო მოქალაქეობის მინიჭება დროში არ გაიწველება — ფედერაციის ხელმძღვანელებსა თუ სპორტის მმართველთა ამ პროცესის დაჩქარება არ გაუჭირდებათ, მაგრამ დღესვე რომ მისცენ, ერთწლიან ვადებში მაინც ვერ ეტყვა და ვერც სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოვა. ამის მიუხედავად, ლონდონში გამოსვლის შანსი მაინც რჩება, თუ ჩვენები სამივე გუნდურ საგზურს მოიპოვებენ (მეგახსენებთ, რომ

ოლიმპიზმი

ბავშვებმა რომ ჩაპიონები იყვნენ...

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია, ქუთაისის სპორტული სკოლების გაერთიანებასთან ერთად, ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის ახორციელებს პროექტს „სპორტი და ოლიმპიზმი“. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სპორტულ სკოლებში გაერთიანებულ მოსწავლე ახალგაზრდებში ოლიმპიური იდეების დამკვიდრებას, მოახდინოს ოლიმპიზმის როგორც სპორტის, ხელოვნებისა და კულტურის ერთიანობის პოპულარიზაცია. 14 ოქტომბერს ქუთაისის ფარიკაობის სკოლაში აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდა მოფარიკავეებსა და მათ მწვრთნელებთან. ლექციას დახლოებით 80-მდე სპორტსმენი და მწვრთნელი ესწრებოდა.

ახალგაზრდებში დიდ მოწონება დაიმსახურა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრის, სეოკ-ს იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის რევაზ რობაქიძის მიერ ოლიმპიზმის თემატიკაზე ჩატარებულმა ლექციამ. გარდა იმისა, რომ მოზარდები გაეცნენ ოლიმპიური თამაშების ისტორიას ანტიკური ხანიდან თანამედროვეობამდე, მათ ჩაუტარდათ ვიქტორინა თემაზე „ვინ უკეთ იცნობს ოლიმპიური თამაშების ისტორიას“.

რევაზ რობაქიძე: „ჩვენი მიზანია სპორტულ სკოლებში გაერთიანებული ბავშვები არა მხოლოდ სპორტით იყვნენ

ლობჯანიძე ოლიმპიადაზე დაბრუნდება? შესაძლოა, იულია ლობჯანიძემ ლონდონში გუნდი ვერ გააპლიროს

ჯერჯერობით ერთი გვაქვს, რომელიც მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალთან ერთად ქრისტინე ესებუამ მონიანდალა. ამ შემთხვევაში მონაწილის შეცვლა ეროვნული ფედერაციის პრეროგატივაა, რადგან საგზურს ფედერაცია იღებს და არა — სპორტსმენი, მაგრამ აქ საქმეში უკვე ჩვენი ნაკრების კორეელ მწვრთნელ ან პიუნ სანის პირადი პოზიცია ერევა — მისი თქმით, ოლიმპიადაზეც ის წავა, ვინც ლიცენზიას მოიპოვებს და მონაწილეს არ შეცვლის.

აღმაიწურად კორეელის პოზიცია გასაგებია — მართლაც ძნელია, არ ნაიყვანო ის, ვინც საგზურს გაინაღებს და მის ნაცვლად სხვა დააყენოს; ეს მართლაც დიდი მორალური დარტყმა იქნება, მაგრამ ერთია პირადი მომენტები და მეორე — გუნდის ინტერესები. იქნებ ისე გამოგვედის, ბავშვის დაბრუნებამდე სახელზე რომ მსჯელობენ — ჯერ ის ორი ლიცენზია მოსაპოვებელი, მაგრამ, იმედია, ამასაც შევძლებთ. ვფიქრობთ, მაშინ ამ საკითხზე ფედერაციასა და ნაკრებში მსჯელობა კვლავაც გავრძელდება და არ გამოვირიცხავთ, კორეელმა პოზიცია შეიცვალოს.

მოკლედ, ლობჯანიძეს ჯერ კიდევ რჩება ოლიმპიადაზე ჩვენი სახელით გამოსვლის უფლება, მაგრამ მანამდე ან პიუნ სანმა ის კორეაში წამსვლელი ოთხეულიდან ამოგადო. შეგახსენებთ, რომ მას ქალთა ნაკრები იქ ორთვიან შეკრებებზე მიჰყავს და შემდგენლობაში ესეუბანსთან, ხათუნა ნარიშვიძესა და ასმათ დიასამიძესთან ერთად ლობჯანიძე იყო, მაგრამ ახლა მის ნაცვლად ნათია ცინცაძეს უხში. ჩვენები კორეაში, საერთაშორისო მოქალაქეობის მინიჭება დროში არ გაიწველება — ფედერაციის ხელმძღვანელებსა თუ სპორტის მმართველთა ამ პროცესის დაჩქარება არ გაუჭირდებათ, მაგრამ დღესვე რომ მისცენ, ერთწლიან ვადებში მაინც ვერ ეტყვა და ვერც სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოვა. ამის მიუხედავად, ლონდონში გამოსვლის შანსი მაინც რჩება, თუ ჩვენები სამივე გუნდურ საგზურს მოიპოვებენ (მეგახსენებთ, რომ

ირაკლი თაყაიძე

დავით კოსტინიძე
ქუთაისიდან

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში — ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ელოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდაჭერი — ვახუშტი „ლელო“.

ასოფლიოს თასი

ყველაფერი 24 წლის წინანდელი ბრავიკით მიღის



ავსტრალიის ნაკრები

ახალი ზელანდიის და ავსტრალიის ნაკრებები საუკუნეზე მეტია ერთმანეთის დაუძინებელი „მტრები“ არიან. მათი გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა, ამჯერად მსოფლიოს თასის ნახევარფინალში. ხვალ, ოქტომბერში, „ედენ პარკზე“ „ოლ ბლექსი“ შეეცდება „ვოლაბების“ წინააღმდეგობა დაძლიოს და ფინალში გააღწიოს. მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი საფრანგეთის ნაკრები უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

საგულსხმოა, რომ 24 წლის წინათ, მსოფლიოს თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალში, სწორედ ამ ოთხეულმა ითამაშა. მაშინ „ოლ ბლექსმა“ და „ლე ბლომ“ მეტოქეთა წინააღმდეგობა დაძლიეს. იმავეს გამეორება, ვფიქრობთ, ამჯერად ძალიან ძნელი იქნება, თუმცა, ცხადია, გამორიცხვად არაფერია.

ახალი ზელანდიის ნაკრები ავსტრალიას პირველად 1903 წელს დაუპირისპირდა და მას შემდეგ ამ გუნდებმა 168 მატჩი გამართეს. აქედან „ოლ ბლექსმა“ 115 მოიგო, 47 ნააგო და ხუთი ფრედ დაასრულა. ამასთან „ვოლაბებმა“ სტუმრად „ედენ პარკზე“ მეტოქეს ბოლოს 25 წლის წინათ სძლიეს.

წლებულს ამ გუნდების შეხვედრაში, ბრისბენში ავსტრალიის ნაკრებმა „ოლ ბლექსი“ დაამარცხა 25:20 და ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად მოიგო სამი ერის გათამაშება.

ნახევარფინალის წინ, ახალი ზელანდიის ნაკრებს პრობლემები მიეძალა. „ოლ ბლექსმა“ ბოლო ორ თამაშში ზედიზედ ორი მეგზავი დენ კარტერი და კოლინ სლედი დაკარგა. ორივე საკმაოდ სერიოზულად დაზარდა და ტურნირის გამოეთიშა. ამიტომ „ვოლაბებთან“ მასპინძელთა გუნდს აარონ კრადენი დაგეზავს. თადარიგში კი სტივენ დონალი იქნება.

ტრავმის გამო 22-კაციან განაცხადში არ არის გამოცდილი ფულბეკი მალიკი მულიაინა. ამ პოზიციაზე იზრად დაგი ითამაშებს. ბოლომდე არ გამოჯანმრთელბულა გუნდის ლიდერი და კაპიტანი რიჩი მაქოა, თუმცა ის მაინც ძირითად შემადგენლობაშია.

ახალი ზელანდიის ნაკრების განსხვავებით, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას მხოლოდ მეოთხედფინალში ნაწყდა არგენტინის ნაკრებთან მატჩში, ავსტრალიელებს დიდი ბრძოლები გადახდათ. „ვოლაბებს“ განსაკუთრებით მეოთხედფინალში გაუჭირდათ.

ავსტრალიელებმა საკმაოდ უდრეკი სულისკვეთება გამოამჟღავნეს მეოთხედფინალში, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში, რაც გვაფიქრებინებს, რომ „მუდმივ მეტოქესთან“ არაფერს დათმობენ. მით უფრო, რომ ყველა წამყვანი მოთამაშე ჯანმრთელი ჰყავთ და საბრძოლველად მზად არიან.

ავსტრალია-ახალი ზელანდია

ავსტრალია: 15. ქართლი ბელი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. პეტ მაკკეი, 11. დიგი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. სეკოპე კეპუ, 2. სტივენ მური, 3. ბენ აქლექსანდერი, 4. დენ ვიკერმანი, 5. ჯეიმზ პორვილი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რადიკე სამი.

ახალი ზელანდია: 15. იზრაელ დაგი, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმიტი, 12. მაა ნონუ, 11. რიჩარდ კაპუი, 10. აარონ კრადენი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კეინი მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. სამუელ ვაითლოქი, 5. ბრედ თორნი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი

16. ენდრიუ პორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ალი ვილიამსი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. ენდი ელისი, 21. სტივენ დონალი, 22. სონი ბილ ვილიამსი.

ერთი მატჩის სულ რაღაც 80 წუთი აშორებს საფრანგეთის ან უელსის ნაკრებს ნახატრ ფინალამდე. ოკლენდში, „ედენ პარკზე“ ფრანგები დღეს უელსელებს დაუპირისპირდებიან, რომლებიც მსოფლიოს თასის ნახევარფინალში მეორედ გავიდნენ.

უელსელთა ასეთი „შორს ნასვლა“ ყველას აკვირებს. მოდით, რამდენიმე თვით უკან დაგვრუნდეთ. უელსის ნაკრებმა სანვრთელი შეკრება ყველასთვის გასაკვირად პოლონეთში გაიარა. „დრაკონების“ არჩევანი ვაგუგებარი იყო. პოლონეთი სარაგბო ქვეყანა არასდროს ყოფილა.

თურმე ნუ იტყვით და, როგორც ერთ-ერთი პოლონელი ჟურნალისტი



საფრანგეთის ნაკრები

წერს, უელსელები, რომლებიც უიდედეს დატვირთვებს იღებდნენ, აქტიურად იყენებდნენ პოლონეთში გავრცელებულ კრაიოთერაპიას, რაც საშუალებას აძლევდათ ენერჯია სწრაფად აღედგინათ. შედეგი? უელსის ნაკრების მსოფლიოს თასის გათამაშებაში ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი, სწრაფი და მოუღლეელი გუნდია.

თამამად უნდა ითქვას, რომ უელსის ნაკრები ფინალში გსვლას ალაღად იმსახურებს. ერთადერთი მარცხი ამ გუნდმა ჯგუფურ ტურნირზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან განიცადა მინიმალური სხვაობით და ის მარცხიც არბიტრის ნამუსზეა.

„ლე ბლოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ „დრაკონები“ საბრძოლო შემადგენლობით გავლენ. მწყობრშია ამ გუნდის ყველაზე სახიფათო რგოლი, უკანა ხაზი. ფულბეკი ლეივ ჰალპენი და შუამარბი ჯიმი რობერტსი ტურნირზე საუკეთესოები არიან. „ბებერი“ გარემარბი შეინ ვილიამსი კი, როგორც ყოველთვის, შეუდარებელია.

საფრანგეთის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდთან მეოთხედფინალურ მატჩში მძიმე ბრძოლა გადაიტანა და რამდენიმე წამყვანი მოწინააღმდეგე დაუმარცხა. თუმცა ყველა მათგანმა, ქართული წარმომადგენლის (ცხრა ნომერმა დიმიტრი იაშვილმა, შერკინების მესამეხაზელმა იმანოლ არინორდოკმა და შერკინების ბურჯმა ჟან-ბაისტ პუე ტრანგემი მოიჩინეს და მწყობრში არიან.

მარკ ლივერმონი ჯიუტობს და „იაშის“ მგებავად ისევ მორგან პარა შეუწყვილა. არინორდოკმა, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე ფლანკურად ითამაშა, ისევ რვა ნომრის პოზიცია დაიბრუნა და მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

უელსი-საფრანგეთი

უელსი: 15. ლეივ ჰალპენი, 14. ჯორჯ ნორსი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. ჯეიმზ პუი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. ვეთინ ჯენკინსი, 2. პიუ ბენეტი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ლუკ ჩარტერისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლაიდიტი, 7. სემ ვერბარტონი, 8. რობი ფალევაუ.

16. ლოიდ ბარნსი, 17. პაულ ჯეიმზი, 18. ბრედლი დევისი, 19. რიან ჯოუნზი, 20. ლიოდ ვილიამსი, 21. სტივენ ჯოუნზი, 22. სკოტ ვილიამსი.

საფრანგეთი: 15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსან კლერი, 13. ორელიან რუფერი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ალექსის პალისონი, 10. მორგან პარა, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ჟან-ბაისტ პუ, 2. ვილიამ სერვატი, 3. ნიკოლას მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.

16. დიმიტრი სზარევესკი, 17. ფაბიენ ბარსელა, 18. ჟულიენ პიერი, 19. ფულენსე უოდრაოკო, 20. ფრანსუა ტრინ-დუკი, 21. ჯან-მარ დუსენი, 22. სედრი ეიმანი.

საქართველოს ჩემპიონატი



ლოკომოტივი-აკადემია

ბრძოლა მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მე-14 ტურში ბრძოლა მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის იქნება, რაც მის ფლობელს საშუალებას მისცემს პლეი ოფში იასპარეზოს და ჩემპიონობისთვის ბრძოლა განაგრძოს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება რამდენიმე ტურით ადრე ქუთაისის „აიამ“ მოიგო. ქუთათურებმა მთელი სეზონი სტაბილურად კარგად ჩაატარეს და აქამდე მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

„აიას“ მეტოქე პლეი ოფში, რომელიც სამხრეთული სისტემით ტარდება, „არმიამ“ იქნება. ამ გუნდმა ასევე რამდენიმე ტურით ადრე დაიბევა მეორე ადგილი. არმიელები „აიას“ შესარჩევ ფინალში ქუთაისში ითამაშებენ. მანამდე კი რეგულარული გათამაშების ბოლო ტურში ქუთათურებს თბილისში უმასპინძლებენ.

ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ის უბრალოდ შესარჩევი ფინალის რეპეტიცია იქნება, რაც უშედეგადაა, თავდადებულ ბრძოლას სულაც არ გამოიხივებს.

პირველ წრეში ამ გუნდებს შორის დაპირისპირება, რომელიც მალთაყვაში გაიმართა „აიამ“ 17:15 მოიგო. „არმიამ“, ცხადია, რევენშის აღებას შეეცდება, რათა შესარჩევი ფინალის წინ დადებით განწყობა შეიქმნას.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევ ფინალში დამარცხებული შეჯიბრებას არ გამოეთიშება, არამედ გასაჯაროდ ფინალში გამარჯვებულს გაეჯიბრება. იქ კი, სატურნირო ცხრილში მესამე და მეოთხე ადგილზე გასულელები გაარკვევენ ურთიერთობას.

გასაჯაროდ ფინალის ერთი მონაწილე უკვე ცნობილია, ეს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ა. რკინიგზელებმა ამის უფლება წინა, მე-13 ტურში თბილისის „აკადემიის“ დამარცხებით გაინაღდეს. ბოლო ტურში კი თბილისის „არმაზს“ ითამაშებინ, რომელიც ამჟამად 11 ქულით მე-5 ადგილზეა და ასევე პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის.

არმაზელებმა შესაძლოა „ლოკომოტივი“ დაამარცხოთ კიდევ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება საპლეი ოფში მოსახვედრად. საამისოდ საჭიროა, რომ 12 ქულით მეოთხე ადგილზე

მოყვება „ლელომ“ ნააგოს „აკადემიასთან“.

თავის მხრივ პლეი ოფში გასვლის შანსი აქვს „აკადემიასაც“. ოთხეულში ის იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ „ლელოს“ მოუგებს და „არმაზი“ კი „ლოკომოტივთან“ დამარცხდება.

ლელოელებმა, რომლებსაც მსოფლიოს თასის გათამაშებიდან წამყვანი მოთამაშეები ლამა ხმალაძე და ალექსანდრე თოდუა დაუბრუნდნენ, საქმე წინა მე-13 ტურში გაირთულეს, როცა სტუმრად ერთ-ერთ აუტსაიდერთან, რუსთავის „ხარებთან“ 14:17 წააგეს.

ცხადია, ეს ორი მორაგბე გუნდისთვის საკმაოდ დიდი ძალაა, თუმცა ლელოელთა მეტოქე „აკადემია“ ბოლომდე შეუპოვრად მეტბრძოლი გუნდია, რომელსაც ნებისმიერი დასახული მიზნის მიღწევა ძალუძს.

თანაც, აკადემიელებს მარცხის შემთხვევაში სულაც ბოლოსწინა ადგილზე დაქვეითება ემუქრებათ. ოლონდ მაშინ, თუ რუსთავის „ხარები“ სტუმრად ბოლოადგილოსან „ყოჩებს“ დაამარცხებს.


ერთი სიტყვით, ბოლო ტურის მატჩებს სატურნირო ცხრილში ბევრი ცვლილების შეტანა შეუძლია. თუმცა, გამორიცხვად არ არის, რომ არაფერი შეიცვალოს. ამ შემთხვევაში თავიანთი მატჩები „ლელომ“, „ლოკომოტივმა“ და „ყოჩებმა“ უნდა მოიგონ.

საპირინო	გ	წ	წ	წ	წ	წ
1. აიამ	13	12	0	1	+221	24
2. არმიამ	13	9	1	3	+126	19
3. ლოკომოტივი	13	7	0	6	+24	14
4. ლელო	13	6	0	7	+14	12
5. არმაზი	13	5	1	7	-34	11
6. აკადემია	13	4	3	6	-29	11
7. ხარები	13	5	0	8	-106	10
8. ყოჩები	13	1	1	11	-216	3

ბუნის თასი
22 ნომბერი
გასაჯარდნი ფინალი შესარჩევი ფინალი
29 ნომბერი
წინასწარი ფინალი
5 დეკემბერი
დიდი ფინალი

გვირდო მოამზადა ბესიკ ჯანაშვილი

კალათბურთი



უზველის შუამავალი?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია და მოთამაშეთა პროფკავშირი მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდს 18 ოქტომბერს ნიუ იორკში გამართავენ. შეხვედრაში ჩართული იქნება მესამე მხარე - ფედერალური შუამავალი.

მოლაპარაკებები ჩემი მონანილეობით გამართონ, - განაცხადა კონენა, რომელიც ამერიკული ფეხბურთის ლიგაში ანალოგიური პრობლემის მოგვარებაში იღებდა მონაწილეობას და დიდი როლი ითამაშა ლოკალური დასრულებით.

ფრანგბურთი

ავსტრალიელი მწიგნობრით

ამ დღეებში კატარის დედაქალაქ დოჰაში ფრანგბურთში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ტურნირზე პლანეტის ყველა საუკეთესო გუნდი შეიკრიბა და გუნდში ნახევარფინალური ეტაპი გაიმართა.

ჩემპიონატის ბოლო ორი გათამაშების ჩემპიონია. ამ გუნდს აღნიშნულ ტურნირზე 2009 წელს ჰქონდა დებიუტი და იქედან მოყოლებული დღემდე 14-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს.

TV პროგრამა

Table with TV program listings for 15 October, including channels like GMG and HTB, and times for various sports events.

სხელიხანი

Table with sports results for various events, including basketball, football, and other sports, listing teams and scores.

Table with sports results for various events, including basketball, football, and other sports, listing teams and scores.

ეროვნული გუნდების შედეგები

Table with national team results for various sports, listing opponents and scores.

TV პროგრამა

Small table with TV program listings for 16 October.

16 ოქტომბერი, კვირა

Small table with TV program listings for 16 October.

16 ოქტომბერი, კვირა

Small table with TV program listings for 16 October.

16 ოქტომბერი, კვირა

Small table with TV program listings for 16 October.

16 ოქტომბერი, კვირა

Small table with TV program listings for 16 October.

● ფორმულა 1

ჯარ შუი, შადა ლუისი

კორეის გრან პრი პარასკევის ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა. როგორც მეტეოროლოგები ვარაუდობდნენ, პირველმა ვარჯიშმა ძლიერი წვიმის თანხლებით ჩაიარა. თითო წრის გავლის შემდეგ პილოტები კარგა ხნით დაიძაბნენ „ბოქსებში“. პირველმა ტრასაზე სერიოზული მუშაობა **ლუის ჰემილტონმა** დაიწყო - მას უნდა შეემთხებინა ტექნიკური სიახლეები, რომელიც „მაკლარენმა“ კორეაში ჩაიტანა.

ბრიტანელის შედეგი - 2.03,391 დიდი ხანი რჩებოდა საუკეთესოდ (და ერთადერთად). მხოლოდ ბოლო ნახევარ საათში გაიზარდა აქტიურობა. და მართალია,

ჯენსონ ბატონს, ფელიპე მასას, პეიკი კოვალაინენს და „ლოტუს რენოს“ პილოტებს პირველი საცდელი წრის შემდეგ ბოქსები აღარ დაუტოვებიათ, **ფერნანდო ალონსო** კი რამდენიმეჯერ გაიარა თითო წრე და ტექნიკური სიახლეების ტესტირებით შემოიფარგლა.

I პრაქტიკა

1. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - 2:02.784 (10);
2. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0.056 (8);
3. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +0.128 (12);
4. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +0.357 (12);
5. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) -

ის გარეშე (1); 24. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - დროის გარეშე (1).


პარასკევის მეორე პრაქტიკისას „მაკლარენის“ პილოტები სხვებზე გაცილებით სწრაფები იყვნენ. ვარჯიში ისევ სველ ტრასაზე დაიწყო, მაგრამ საათ-ნახევარში პილოტებმა ასფალტი გააშრეს და ბოლო წუთებზე ზოგიერთმა „სლიკების“ საბურავებით გამოსვლა გარისკა. მაგრამ ეს ნაბიჯი მცდარი იყო, რადგან ასფალტთან მოჭიდება არასაკმარისი გახლდათ.

საშუალოდ საბურავებით აშკარა უპირატესობა ლუის ჰემილტონსა და ჯენსონ ბატონს ჰქონდათ, რომლებმაც მეტოქეებს თითქმის ორი წამი მოუგეს. სესიის შუაში ბრიტანელები დიდი ხანი ცვლიდნენ სწრაფ წრეებს და მათ შედეგებს ვერაფერს მიუახლოვდა. დანარჩენებს შორის საუკეთესო მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** იყო.

სერიოზული ავარია მხოლოდ ერთხელ მოხდა - ნიკო როსბერგმა ვერ მოახსნო სასტარტო სწორ მონაკვეთზე სიჩქარის დაგდება და **ხაიმე ალგერსუარის** შეასკდა, რომელიც ბოქსებს ტოვებდა.

II პრაქტიკა

1. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - 1:50.828 (26);
2. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - +0.104 (19);
3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +1.818 (30);
4. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +1.946 (25);
5. მარკ უებერი (რედ ბული) - +2.221 (27);
6. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +2.574 (25);
7. ფელიპე მასა (ფერარი) - +2.879 (24);
8. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +3.086 (18);
9. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +3.120 (27);
10. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +3.129 (32);
11. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +3.372 (26);
12. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +3.564 (26);
13. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +4.003 (30);
14. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +4.137 (21);
15. ბრუნო სენა (ლოტუს-რენო) - +4.359 (28);
16. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +4.375 (24);
17. კამუი კობაიში (ზაუბერი) - +4.716 (23);
18. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +5.239 (22);
19. პეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +5.841 (20);
20. იარნო ტრული (ლოტუსი) - +6.345 (19);
21. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +7.441 (25);
22. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +8.630 (26);
23. დანიელ რიკარდო (HRT) - +9.130 (19);
24. ვიტანტონიო ლიუცი (HRT) - +9.337 (20).



ლუისი მეორე პრაქტიკაზე დომინირებდა

თითქმის ყველა პილოტი უშვებდა შეცდომას, ამჯერად ყველაფერმა ავარიების გარეშე ჩაიარა. ყველაზე სახიფათო იყო ეპიზოდი, როცა სწრაფ წრეზე **სებასტიან ფეტელმა** სასწრაფოებრივ აიცილა თავიდან ნელ „ვირჯინთან“ შეჯახება.

პირველმა, ვინც ჰემილტონის დრო გააუმჯობესა, **სებასტიან ბუემი** იყო - 2.03,182. მხოლოდ პირველი სესიის ბოლო წუთებზე, როცა ტრასა მეტანაკლებად გაშრა, სისწრაფე გაიზარდა. საბოლოოდ, საუკეთესო შედეგი **მიხაელ შუმახერმა** აჩვენა. ლეგენდარული გერმანელის დროს სულ მცირედით ჩამორჩნენ ფეტელი და **პოლ დი რესტა**.

ვარჯიშის ბოლოს შუმახერმა წვიმის საბურავებიდან საშუალოდ რეზინზე გადასვლა სცადა, მაგრამ ტრეკი ჯერ კიდევ საკმაოდ სველი იყო და შუმში კინალამ დაამტვრია თავისი მანქანა, როცა ბოქსებისკენ მიმავალი გზიდან გადავარდა.

- +0.398 (9);
6. კამუი კობაიში (ზაუბერი) - +0.508 (13);
7. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0.607 (6);
8. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.527 (12);
9. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2.013 (8);
10. მარკ უებერი (რედ ბული) - +2.399 (5);
11. კარუნ ჩანდოკი (ლოტუსი) - +3.566 (11);
12. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +4.068 (11);
13. ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო) - +4.757 (9);
14. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +5.434 (5);
15. ნარაიან კარტიკეიანი (HRT) - +6.048 (14);
16. დანიელ რიკარდო (HRT) - +6.448 (14);
17. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +9.874 (7);
18. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +11.724 (4);
19. ფელიპე მასა (ფერარი) - დროის გარეშე (1);
20. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - დროის გარეშე (5);
21. ბრუნო სენა (ლოტუს-რენო) - დროის გარეშე (1);
22. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - დროის გარეშე (1);
23. პეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - დროის

კორეა სიფრეზები

კორეის გრან პრი მხოლოდ მეორედ იმართება.

- 2010 წლის 24 ოქტომბერს იონამში პირველი რბოლა ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** მოიგო.

- ტრასის სიგრძეა - 5615 მეტრი. პილოტები 55 წრეს გადიან, დისტანციის საერთო სიგრძე 308,630 კილომეტრს შეადგენს. ავტოდრომი დედაქალაქ სეულიდან სამხრეთით 400 კილომეტრში მდებარეობს. ისევე როგორც ყველა ახალი ავტოდრომი, კორეის ტრეკიც გერმანელი **ჰერმან ტილკს** დაპროექტებულია. ტრიბუნების ტევადობა დაახლოებით 135 ათასია. ტრასაზე 18 მოსახვევია (11 მარცხენა, 7 მარჯვენა).

- ავტოდრომი ექსპლუატაციაში სადებიუტო გრანპრიმდე 13 დღით ადრე შევიდა. 2010 წლის 13 ოქტომბერს FIA-ის ინსპექციის შემდეგ „დიდი პრიზების“ საბოლოო დირექტორმა **ჩარლი უაიტინგმა** ეტაპის გამართვის უფლება გასცა.

- შარშან კვალიფიკაციაზე უსწრაფესი წრე გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** გაიარა - 1.35,585. რბოლაში ყველაზე სწრაფი ალონსო იყო - 1.50,257 (42-ე წრე საშუალო სიჩქარით - 183,335 კმ/სთ).

- 2010 წელს „ფერარის“ ორივე პილოტი ავიდა პოდიუმზე. შესაბამისად, კორეაში ყველაზე მეტი ქულა „სკუდერიას“ აქვს მოპოვებული.

- ფელიპე მასასთვის იონამში პოდიუმი ჯერჯერობით უკანასკნელია კარიერაში.

- გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** კორეაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ასე მაღლა დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ ის ერთხელ ავიდა - ნელს კანადის გრანპრიზე.

- ფეტელი ბოლოს რბოლას სწორედ კორეაში გამოეთიშა (45-ე წრეზე). მისი პარტნიორი „რედ ბულიში“ **მარკ უებერი** ასევე ვერ მივიდა ფინიშთან. ეს ჯერჯერობით ბოლო შემთხვევაა, როცა ავსტრიულმა გუნდმა ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვა.

● ფორმულა 1



რედ ბული პიმალაიზა ავიდა

ფორმულა 1-ის საუკეთესო გუნდი „რედ ბული“ ისევ ავიწროებს სარბოლო სამყაროს თავისი კრეატიული იდეებით. ამჯერად ავსტრიულმა საჯინიბომ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა - თავისი სარბოლო მანქანა გამოიყვანა მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე საავტომობილო გზაზე, რომელიც ინდოეთში, ჰიმალაის მთებში მდებარეობს.

გუნდის შევიცარიელმა ტესტ-პილოტმა **ნილ იანიმ**, რომლის ნინაპრები ინდოეთში ცხოვრობდნენ, ლენის დასახლებაში ზღვის დონიდან 3300 მეტრ სიმაღლეზე აიღო სტარტი და ფორმულა 1-ის ბოლიდით მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიან გზას გაუყვა.

დანიშნულების ადგილი იყო დასახლებული უბნები - პარდუნგ-ლა, რომელიც ზღვის დონიდან 5600 მეტრზე

მდებარეობს. „უამრავ ადგილას გამოიყვანა ფორმულა 1-ის მანქანა, მაგრამ სწორედ აქ ვიგრძენი ყველაზე დიდი სიამოვნება. ჰიმალაის მთები საოცარ შთაბეჭდილებას ქმნის, ინახავს ჩვენს ისტორიას და მე კიდევ დიდი ხანი გამეყვება აქ მიღებული შეგრძნებები“, - განაცხადა ფინიშის შემდეგ იანმა.

„რედ ბული“ ინჟინრებმა აღნიშნეს, რომ ძალიან რთული აღმოჩნდა მაღალმთიან პირობებში ძრავის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა, მაგრამ ტექნიკურმა პერსონალმა კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას.

ამ აქციისას კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ დისტანციის დასკვნით ნაწილზე გზა თოვლითა და ყინულით იყო დაფარული.

● ამერიკელი ფეხბურთი

ლებრონს ფეხბურთში დაუკახეს




როგორც უკვე ვნერდით, ბოლო პერიოდში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ამერიკული ფეხბურთით დაინტერესდა. მან ვარჯიში ჩაატარა მშობლიური ქალაქის - აკრონის (ოჰაიოს შტატი) სკოლის გუნდთან, მოგვიანებით კი თავის „ტიტანზე“ იკითხა - „როდის სრულდება NFL-ში (ამერიკული ფეხბურთის ლიგა) თავისუფალი აგენტების გაფორმება?“

ამის შემდეგ ამერიკული ფეხბურთის გუნდის - „სიეტლ სიჰოუქსის“ მწვრთნელმა **პიტ კეროლმა** სუბრობით თუ სერიოზულად თავის გუნდში მიიწვია „მაიამი ჰიტის“ ლიდერი. უფრო მეტიც, სიეტლში უკვე მოამზადეს მისურა ლებრონისთვის.

გამრიგობადაც ვა თვალახიზივდა

● კვირის ბოლოს



სპეციალური ორჭიშის იარაღი

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი